დამტკიცდა სსიპ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბუნებიმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ

2024 წლის 19 ნოემბერს საბჭოს მე-10 სხდომაზე.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2024 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე.

დამტკიცდა 2025 წლის 2 მაისის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N 5
(ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ფაკულტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის მესამე სხდომაზე, 2025 წ. 23 აპრილს).

დამტკიცდა 2025 წლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N 6

(ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ფაკულტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის მეექვსე სხდომაზე, 2025 წ. 14 მაისს).

დამტკიცდა 2025 წლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N 10
(ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ფაკულტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის მეექვსე სხდომაზე, 2025 წ. 5 აგვისტოს).

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის **კვლევის ეთიკის კომიტეტის** დებულება

თავი I: ტერმინების განმარტება და მიზანი მუხლი 1.

ტერმინების განმარტება

კომიტეტის სახელწოდება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“)

ფაკულტეტის სახელწოდება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“)

დეკანის სახელწოდება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი (შემდგომში „დეკანი“)

მუხლი 2. მიზანი კომიტეტის მიზანია:

2.1. უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის მედიცინის სკოლის ფარგლებში ჩატარებული კვლევებისა და კლინიკური კვლევების ეთიკური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა.

2.2 უზრუნველყოს, რომ ყველა ის აქტივობა, რომელიც მოიცავს ადამიანის ჩართულობას, ცხოველებს

და ბიოლოგიურ მასალებს, შეესაბამებოდეს დადგენილ ეთიკურ სტანდარტებს.

2.3 უზრუნველყოს ფაკულტეტის ფარგლებში კვლევის, განათლებისა და კლინიკური პრაქტიკის ეთიკური ნორმების საკითხებზე პოლიტიკის შემუშავება და რეკომენდაციის გაცემა.

2.4 კვლევის ეთიკის კომიტეტი წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს. ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის სფეროში ფუნდამენტური და კლინიკური კვლევების ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ საკითხებზე

თავი II: უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება მუხლი 1.

უფლებამოსილების ფარგლები

1.1 კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) განიხილოს კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ განაცხადი ადამიანის და ცხოველის მონაწილეობის, აგრეთვე ბიოლოგიური მასალების გამოყენების შესახებ. მიიღოს გადაწყვეტილება კვლევის ინსტრუმენტის/ების ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა;

ბ) კვლევის ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარე კვლევისა და კლინიკური კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის საკითხის მონიტორინგი და რეკომენდაციების გაცემა;

გ) კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის საკითხებზე პოლიტიკის და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და რეკომენდაცია.

დ) კვლევა, რომელიც იყენებს/ამუშავებს მანამდე შეგროვილ სრულიად ანონიმურ ან დეპერსონალიზებულ მონაცემებს, თავისუფლდება ეთიკის კომიტეტის განხილვისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევა ანონიმური ან დეპერსონალიზებული მონაცემების მეორადი დამუშავების მიზნით არ საჭიროებს დამატებით კვლევის ეთიკურობის დადგენას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ. ამ შემთხვევაში კვლევის ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია გასცეს პასუხი წერილობით, რომ ამ ტიპის კვლევა/კვლევის ინსტრუმენტი/ები გათავისუფლებულია საკითხის განხილვისგან. გადაწყვეტილება ეცნობება ადრესატს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით, (საჭიროების შემთხვევაში ინგლისურ ენაზე), გადაწყვეტილება დაიტანება ფაკულტეტის ბლანკზე. ამ ტიპის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ორგანიზაციული თანხმობა (დანართი 6) და ნებართვის/შეთანხმების წერილი ორგანიზაციის მიერ შეგროვილ და ანონიმიზირებული მონაცემების გამოყენების შესახებ.

მუხლი 2. ანგარიშვალდებულება

2.1. კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს.

2.2. ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე. **თავი III:**

წევრობა

მუხლი 1. შემადგენლობა

1.1. კომიტეტის შემადგენლობაში შედის წევრების კენტი რაოდენობა, მათ შორის აუცილებელია:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შესაბამისი კვლევითი მიმართულებების აკადემიური პერსონალი;

ბ) კვლევის ეთიკის ნორმების მცოდნე სპეციალისტები ბიოეთიკის გამოცდილებით;

გ) მინიმუმ ერთი პირი, რომელიც არ აწარმოებს კვლევას არცერთი ზემოჩამოთვლილი მიმართულებით და არ აქვს ამ კუთხით გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს კომიტეტის მიუკერძოებულობას.

დ) საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე განაცხადის გაცნობის შემდეგ კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე გარე ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებით. მოწვეული კანდიდატურის კვალიფიკაცია და განსახილველ საკითხთან მიმართებაში საექსპერტო გამოცდილების დადასტურება ხდება მის მიერ წარმოდგენილი პროფესიული ბიოგრაფიის საფუძველზე სხდომის დასასწყისში კომიტეტის წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 2. კვალიფიკაცია

2.1 წევრებს უნდა ჰქონდეთ დადგენილი ეთიკის ნორმების განხილვის პროცესის გამოცდილება ან განათლება შესაბამის სფეროებში: მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ეთიკა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა;

2.2. კვალიფიკაცია დასტურდება წევრების მიერ წარმოდგენილი პროფესიული ბიოგრაფიის (CV) საფუძველზე.

მუხლი 3. დანიშვნა

3.1 ფაკულტეტის დეკანი 4 წელიწადში ერთხელ, კომიტეტის წევრობის კანდიდატურებს განხილვისთვის და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

კომიტეტის წევრობის კანდიდატურების განხილვის და დამტკიცების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ექსპერტიზის გამოცდილება. კომიტეტიში უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი

კვლევითი დარგის/მიმართულების აკადემიური პერსონალი ანსპეციალისტი.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადა

4.1. კომიტეტის წევრების უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით, ხელახლა წარდგენის და დანიშვნის უფლებით.

მუხლი 5. უფლებამოსილების შეწყვეტა და ჩანაცვლება

5.1. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის პირობა:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე ;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის დასრულება ;

გ) ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) კომიტეტს წევრის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) კომიტეტის/ფაკულტეტის დისკრედიტაციის გამო.

5.2. ვაკანტური ადგილის შევსება

კომიტეტში წევრთა რაოდენობის მუდმივობის შენარჩუნების მიზნით, მე-5 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი მიზეზით წარმოშობილი ვაკანსიის შევსების მიზნით დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წარუნდენს კანდიდატურას/ებს. გამოკლებული წევრის ადგილს ახალი წევრი დაიკავებს 4 წლის ვადით.

თავი IV: მართვა

მუხლი 1. კომიტეტის მართვის სტურუტურა ითვალისწინებს შემდეგ პოზიციებს :

- კომიტეტის თავმჯდომარე;
- თავმჯდომარის მოადგილე;
- კომიტეტის მდივანი; მუხლი 2.

წევრთა შერჩევა

კომიტეტის ზემოხსენებულ პოზიციებზე წევრთა არჩევა ხდება ხმების უმრავლესობით ყოველი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე.

მუხლი 3. მოვალეობები

3.1 კომიტეტის თავმჯდომარე უძღვება კომიტეტის ყველა სხდომას და უზრუნველყოფს კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად შესრულებას.

3.2 კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობებს მისი არყოფნის შემთხვევაში.

3.3 კომიტეტის მდივანი აწარმოებს კომიტეტის სხდომის, გადაწყვეტილებებისა და დისკუსიების ზუსტ ჩანაწერებს, ადგენს სხდომის ოქმს და ამზადებს კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დასკვნის დოკუმენტს.

თავი V: კომიტეტის სხდომა და ოქმი

მუხლი 1. კომიტეტის სხდომის ორაგნიზება

1.1. კომიტეტის სხდომის მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ, კალენდარულ თვეში ერთხელ, განსაზღვრულ დროსა და ადგილზე.

1.2. ყოველი კომიტეტის სხდომის დღის წესრიგი სასურველია არ აღემატებოდეს სამ განსახილველ საკითხს. თუ განსახილველად შემოსული საკითხების რაოდენობა აღემატება სამს, კომიტეტის გადაწყვეტილებით ხდება რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

1.3. კომიტეტის სხდომა შესაძლოა გაიმართოს დისტანციურად. დისტანციური სხდომა მიმდინარეობს ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც საქმის განხილვის მონაწილეებს აძლევს ერთმანეთთან აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის რეალურ დროში დამყარების შესაძლებლობას.

1.4. შემოსული განცხადებების/საკითხების განხილვისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად დგება ყოველი სხდომის დღის წესრიგი და ეგზავნება კომიტეტის წევრებს გონივრულ ვადაში;

მუხლი 2. ქვორუმი და გადაწყვეტილების მიღება

2.1 სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გადაწყვტილება მიიღება ღია კენჭისყრით კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 3. კომიტეტის სხდომის ოქმი

3.1 ყოველი სხდომის შემდგომ დგება კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელსაც ამზადებს კომიტეტის მდივანი. კომიტეტის სხდომის მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში იგი ვალდებულია გააგზავნოს ოქმი კომიტეტის ყველა წევრთან.

3.2 კომიტეტის წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება ადრესატს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით, (საჭიროების შემთხვევაში ინგლისურ ენაზე), გადაწყვეტილება დაიტანება ფაკულტეტის ბლანკზე.

თავი VI: ეთიკის ნორმების დაცვის საკითხის განხილვის პროცესი

მუხლი 1. კვლევით განაცხადის წარდგენა

1.1. კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს კვლევითი განაცხადები, რომელიც წარმოდგენილია ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტზე არსებული კვლევითი ერთეულების მკლევრების მიერ. მოწვეული პერსონალის მიერ გაკეთებული განაცხადი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის წარმოება იგეგმება ფაკულტეტზე არსებული კვლევითი ერთეულების ბაზაზე, რაც უნდა დასტურდებოდეს აღნიშნული კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის მიერ.

1.2. ყველა განაცხადი კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ იმ კვლევასთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს ადამიანის ან ცხოველის მონაწილეობას, ან ბიოლოგიურ მასალებს, უნდა წარედგინოს კომიტეტს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

1.3. კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ განაცხადის განხილვის პროცესის ინიცირებისთვის განცხადება იწერება რექტორის ან ფაკულტეტის დეკანის სახელზე, და რეგისტრირდება უნივერსიტეტის კანცელარიაში;

1.4. კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) კვლევის და კვლევის ინსტრუმენტის/ების დეტალური აღწერა (პროტოკოლი);

ბ) სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი განცხადება დეკანის სახელზე, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი კვლევითი პროექტის დოკუმენტაცია არის შესაბამისობაში ამავე დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან/კრიტერიუმებთან და მზად არის განხილვისთვის.

გ) თუ განხილვისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები დახარვეზდა ეთიკის კომიტეტის მიერ, აპლიკანტს დამატებით ეძლევა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რომ გაასწოროს დოკუმენტაცია და წარმოუდგინოს კვლევითი ეთიკის კომიტეტს დამატებითი განხილვისთვის.

დ) კვლევის ინსტუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომიტეტის მოთხოვნით **ინფორმირებული თანხმობის და საინფორმაციო ფურცლის** დოკუმენტი (საჭიროების შემთხევაში);

ე) კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ განაცხადში კვლევის ობიექტების გამოყენებით მიღებული შედეგების რისკ-სარგებლის ანალიზი;

ვ) პირად მონაცემთა (მათ შორის ანონიმურობის) დაცვის პროცედურები;

ზ) კვლევისთვის გასათვალისწინებელი შესაბამისი ეთიკური მოსაზრებები.

მუხლი 2. კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ კვლევის პროექტის შეფასება

2.1 კვლევითი პროექტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ამ დებულების მე-7 თავის სახელმძღვანელო სტანდარტებით დადგენილი ეთიკის სტანდარტებისა და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით;

ბ) კვლევის სუბიექტების უფლებებისა, ანონიმურობის და კეთილდღეობის დაცვით;

გ) კვლევის მეცნიერული ვალიდობა და სოციალური ღირებულება;

დ) ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტის ან/და თანხმობის მოპოვების პროცესის ადეკვატურობა.

ე) ცხოველთა კეთილდღეობის და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება. მუხლი 3. მუხლი

3. გადაწყვეტილება

3.1 კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ განცხადების მიღებიდან არაუმეტეს 60 დღეში.

გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცვადეს შემდეგს:

ა) საკითხის/კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცება;

ბ) საკითხის/კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცება (შემდგომი პერიოდული მონიტორინგით);

გ) საკითხის/კვლევის ინსტრუმენტის პირობითი დამტკიცება საჭირო ცვლილებებით;

დ) დამატებითი ინფორმაციის ან დაზუსტების მოთხოვნა;

ე) საკითხის/კვლევის ინსტრუმენტის უარყოფა.

მუხლი 4. მონიტორინგი

4.1. კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება განაცხადის სპეციფიკიდან/საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს შემდგომი მონიტორინგი კვლევის ეთიკურ სტანდარტებთან მუდმივი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

4.2. პროცესი შეიძლება მოიცავდეს პროგრესის რეგულარულ ანგარიშებს, ადგილზე ვიზიტებს და აუდიტს;

4.3. მონიტორინგის პერიოდი და ვადა ისაზღვრება პირველი გადაწყვეტილების მიღების დროს.

მუხლი 5. გასაჩივრება

5.1. განმცხადებელს შეუძლია გაასაჩივრონ კომიტეტის გადაწყვეტილებები რექტორის სახელზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენით;

5.2. საპრეტენზიო განაცხადი განიხილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული კვლევითი პროექტების ეთიკის ნორმების დაცვის დამდგენი კომისიის მიერ;

5.3. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

თავი VII: სახელმძღვანელო სტანდარტები

კომიტეტი იხელმძღვანელებს შემდეგი სტანდარტებით კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის განხილვისა და ზედამხედველობისას:

მუხლი1. სუბიექტი - ადამიანი

ა) ადამიანის მონაწილეობით ჯანმრთელობასთან-დაკავშირებული კვლევის ეთიკის სტანდარტები და ოპერატიული სახელმძღვანელო (Standards and Operational Guidance for Ethics Review of Health-Related Research with Human Participants) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი იძლევა ყოვლისმომცველ *გაიდლაინებს* ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევის ეთიკური მიმოხილვისთვის, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები. კომიტეტი უზრუნველყოფს ამ სახელმძღვანელო პრინციპების დაცვას ყველა კვლევაში, რომელიც მოიცავს ადამიანურ სუბიექტებს.

წყარო:https://www.who.int/publications/i/item/9789241502948

ბ) WHO/AHPSR სახელმძღვანელო "ეთიკური მოსაზრებები ჯანდაცვის პოლიტიკისა და სისტემების კვლევისთვის" (The WHO/AHPSR guidance on "Ethical Considerations for Health Policy and Systems Research") - რესურსი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემებისთვის. პუბლიკაცია ჯანდაცვის პოლიტიკისა და სისტემების კვლევის ალიანსისგან (WHO) ჯანმრთელობის ეთიკის გლობალურ ერთეულთან (WHO).

წყარო: https://ahpsr.who.int/publications/i/item/2019-12-02-ethical-considerations-for-health- policy-and-systems-research

გ) კვლევაში დაცული სამედიცინო მონაცემების გამოყენებისთვის სახელმძღვანელო.

წყარო:

ა) აშშ კონფიდენციალურობის წესები HIPPA https://www.hhs.gov/hipaa/for-proessionals/privacy/laws-regulations/index.html

ბ) ევროკავშირის ზოგადი რეგულაციები მონაცემთა დაცვის შესახებ https://gdpr.eu/

გ) საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ -

https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=4

მუხლი 2. სუბიექტი - ცხოველი

ა) ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამოყენების გზამკვლევი, მე-8 გამოცემა (Guide for the Care and Use of Laboratory Animals, 8th Edition) - ეროვნული კვლევის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ეს სახელმძღვანელო ასახავს ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს ცხოველთა მოვლისა და კვლევებში გამოყენებისათვის. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ცხოველებთან დაკავშირებული ყველა კვლევა შეესაბამებოდეს ამ სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც ხელს უწყობს ცხოველებისადმი ჰუმანურ მოპყრობას. ეროვნული კვლევის საბჭო, დედამიწისა და სიცოცხლის კვლევების განყოფილება, ცხოველთა ლაბორატორიული კვლევის ინსტიტუტი, ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და გამოყენების სახელმძღვანელოს განახლების კომიტეტი.

წყარო: https://nap.nationalacademies.org/read/12910/chapter/1

ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის (PHS) პოლიტიკა ლაბორატორიული ცხოველების ჰუმანური მოვლისა და გამოყენების შესახებ (the Public Health Service (PHS) Policy on Humane Care and Use of Laboratory Animals (Policy))- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის პოლიტიკა ლაბორატორიული ცხოველების ჰუმანური მოვლისა და გამოყენების შესახებ (PHS პოლიტიკა) უზრუნველყოფს მარეგულირებელ ჩარჩოს ცოცხალი, ხერხემლიანი ცხოველების გამოყენებისთვის ნებისმიერ საქმიანობაში.

წყარო: https://olaw.nih.gov/sites/default/files/PHSPolicyLabAnimals.pdf

მუხლი 3. ბიოლოგიური მასალა

ა) OECD-ის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო ბიოლოგიური რესურსების ცენტრებისთვის (OECD Best Practice Guidelines for Biological Resource Centres) *გაიდლაინები*, რომელიც გამოქვეყნებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, სთავაზობს საუკეთესო პრაქტიკას ბიოლოგიური მასალების დამუშავების, შენახვისა და კვლევისას. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ კვლევისას

ბიოლოგიური მასალების გამოყენება შეესაბამებოდეს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ეთიკურ შესაბამისობას.

წყარო: https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264128767-en.pdf?expires=1726586135&id=id&accname=guest&checksum=1DE240B68AEA41D40E5F3CEB09D11606

თავი VIII: კონფიდენციალურობა და ინტერესთა კონფლიქტი

მუხლი 1. კონფიდენციალურობა

1.1. კომიტეტის მიერ განხილული ყველა ინფორმაცია: კვლევითი წინადადებები, დისკუსიები და გადაწყვეტილებები არის მკაცრად კონფიდენციალური. წევრებმა არ უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია კომიტეტის ან პროცესში მონაწილე პირთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 2. ინტერესთა კონფლიქტი

2.1. კომიტეტის წევრებმა წერილობით უნდა აცნობონ კომიტეტის ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შესახებ;

2.2. ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი დგება მაშინ, როდესაც განმცხადებელი არის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ან მისი სტუდენტი;

2.3. ინტერესთა კონფლიქტის მქონე წევრები არ მონაწილეობენ შესაბამისი საკითხის განხილვასაა და კენჭისყრაში.

მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების პროცედურა

3.1 წერილობითი განაცხადი:

კომიტეტის წევრმა უნდა წარუდგინოს ოფიციალური, წერილობითი ინფორმაცია კომიტეტის თავმჯდომარეს. ეს განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) ინტერესთა ურთიერთდაპირისპირების აღწერას (მაგ. ხელმძღვანელი-სტუდენტი, მენტორი-სტუდენტი).

ბ) მათი ჩართულობის ხარისხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გ) ნებისმიერი პოტენციური გავლენა, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს განხილვის პროცესის მიუკერძოებლობაზე.

3.2. კომიტეტის თავმჯდომარის მიმოხილვა:

ა) კომიტეტის თავმჯდომარე განიხილავს გამჟღავნების განაცხადით მიღებულ ინფორმაციას და განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის. გამჟღავნება, კონფლიქტის მართვისთვის გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, დოკუმენტირებული იქნება კომიტეტის სხდომების ოქმებში. ეს უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების გამჭვირვალობას.

ბ) ინტერესთა კონფლიქტში გამჟღავნებულმა კომიტეტის წევრმა თავი უნდა შეიკავოს შემოსულ წინადადებასთან დაკავშირებული ყველა დისკუსიიდან, შეფასებისა და გადაწყვეტილებისგან. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა განხილვის პროცესის რომელიმე ნაწილში, რათა თავიდან აიცილონ მიკერძოებულობის აღქმა.

3.4 კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა:

ა) ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და მისი მართვისთვის განხორციელებული ქმედებები უნდა ეცნობოს კომიტეტის დანარჩენ წევრებს, რათა ყველა წევრმა იცოდეს შექმნილი სიტუაცია.

ბ) ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების განცხადების ნიმუში:

"მე, [კომიტეტის წევრის სახელი] ვამხელ, რომ განცხადება სახელწოდებით [განცხადება სათაური] წარმოდგენილია ჩემი სტუდენტის/მკვლევარის სახელი, გვარი] მიერ. სტუდენტთან/მკვლევრთან, როგორც მათ მრჩეველთან ჩემი პროფესიული ურთიერთობის გამო, ვაღიარებ, რომ ეს წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულ კონფლიქტს. მე თავს ვიკავებ ამ წინადადებასთან დაკავშირებული ყველა დისკუსიიდან, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღებისგან, მიუკერძოებელი განხილვის პროცესის უზრუნველსაყოფად.

თავი IX: ცვლილებები

მუხლი 1. დებულებაში ცვლილებების შეტანა

1.1. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ: კომიტეტის, დეკანს და ფაკულტეტის საბჭოს;

1.2. დებულების ცვლილებებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

თავი X: მიღება და განხორციელება

მუხლი 1. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.